გვანცა დოლბაია[1]

დეზინფორმაციასთან ბრძოლა, როგორც გამოხატვის თავისუფლების დაცვის მექანიზმი

„მსოფლიოში ყველაზე ძლიერ იარაღს ცეცხლსასროლი იარაღი ან ბომბი კი არ წარმოადგენს, არამედ ინფორმაციაზე ბატონობა. ინფორმაციის კონტროლი ნიშნავს ყველა იმ ადამიანის მანიპულაციას, რომელიც ამ ინფორმაციას იღებს."[2]

აბსტრაქტი

დეზინფორმაცია 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, რაც ინტერნეტზე ხელმისაწვდომობამ და სოციალური ქსელებით აქტიურად სარგებლობამ განაპირობა. დეზინფორმაციასთან ბრძოლის ეფექტიანი გზების ძიება არანაკლებ სირთულეს წარმოადგენს, ვინაიდან რთულია გამოინახოს ისეთი გადაჭრის მექანიზმი, რომელიც ინტერნეტ სივრცეში მცდარი ინფორმაციის გავრცელებას ისე აღკვეთს, რომ ამავდროულად არაპროპორციულად არ შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება. სტატიაში განვითარებულია მოსაზრება, რომ უპირველესად, საჭიროა დადგინდეს დეზინფორმაციის უნივერსალური და ერთმნიშვნელოვანი დეფინიცია, რომელიც ამ უკანასკნელს გამიჯნავს მისინფორმაციისგან, მალინფორმაციისგან და პროპაგანდისგან. ამასთან, სტატია განიხილავს გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს და ამტკიცებს, რომ დეზინფორმაცია მოცემულ ფარგლებს სცდება და მისი მანკიერი ხასიათით საფრთხეს უქმნის ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს და სახელმწიფოს დემოკრატიულ ღირებულებებს. განსაკუთრებით საფრთხილოა, როდესაც მცდარი ინფორმაციის გავრცელება ხდება ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოში ინტერვენციის იარაღი ან ხელისუფლების მიერ საკუთარ მოქალაქეებს შორის დაპირისპირების გამომწვევი საშუალება. ამასთან, სტატიაში განვითარებულია მოსაზრება, რომ სახიფათოა არამხოლოდ დეზინფორმაციის ფენომენი, არამედ არადემოკრატიული სახელმწიფოების მიერ ნებისმიერი მიუღებელი შინაარსის ინფორმაციის დეზინფორმაციად შერაცხვა და შედეგად, არაპროპორციული სანქციების დაწესება. გამომდინარე აქედან, სტატიაში განვითარებულია მოსაზრება, რომ აუცილებელია იმ ოქროს შუალედის პოვნა, რომელიც დეზინფორმაციის გავრცელებას აღკვეთს არა სახელმწიფოს მმართველი ძალის უშუალო კონტროლითა და მეთვალყურეობით, არამედ სოციალური მედიის პლატფორმების პროაქტიული ჩართულობით - ისეთი ღონისძიებების გატარებით, რომელიც საეჭვო ინფორმაციას მომხმარებლამდე შესაბამისი შეტყობინებით მიიტანს და ცალსახად მცდარი შინაარსის ამბებს ავტომატურად მიუწვდომელს გახდის.

***საკვანძო სიტყვები**: დეზინფორმაცია, სანქციები, გამოხატვის თავისუფლება.*

Abstract

Owing to the worldwide usage of cyberspace and active consumption of social networks disinformation has become one of the key challenges of the 21st century. Searching for effective ways to combat disinformation is no less of an issue since it has proved to be problematic to find a single resolution, which, on the one hand, would prevent the spread of false information in cyberspace and, on the other, guarantee uninterrupted enjoyment of the right to freedom of expression. The article argues that, supremely, it is necessary to establish a universal and unambiguous definition for "disinformation", which distinguishes the latter from "misinformation", "malinformation" and "propaganda". The article further examines the scope of freedom of expression and claims that disinformation falls outside the extent and that the vicious nature of such content threatens fundamental human rights and democratic values of states. Noteworthy, the spread of false information may become a tool for intervention by one state into another or a means for the government to fuel conflict among its citizens. Moreover, the article elaborates that not only the phenomenon of disinformation, as such, is menacing, but also labeling any unacceptable content as disinformation by

---

[1] თსუ იურუდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული.
ელ. ფოსტა: gvantsadolbaia@gmail.com.

[2] პოსტი სოციალური ქსელი „ტვიტერიდან." იხ. https://twitter.com/IAmAaronWill/status/1425352300990803974 [ბოლოს ნანახია 19.05.2022]

non-democratic states and the imposition of disproportionate sanctions as a result. Based on this, the article states that it is necessary to find the middle ground that prevents the spread of disinformation not by the direct control and supervision of the ruling power of the state, but by the proactive involvement of social media platforms - by taking measures that will bring mistrustful information to users with relevant messages specifying that the content may not be trustworthy and automatically delete the news that are false and deceptive.

Keywords: *Disinformation, sanctions, freedom of expression*.

შესავალი

ინტერნეტზე ხელმისაწვდომობამ, მრავალმა ონლაინ აპლიკაციამ და სოციალური მედიის პლატფორმამ მსოფლიოში ახალი სოციალური, კულტურული და ეკონომიკური ღირებულებები დაამკვიდრა, რომელთა სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევაც ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება. შესაძლებელია ითქვას, რომ ახალმა ონლაინ სივრცემ, რომელიც არ სცნობს სახელმწიფო საზღვრებს და მთავარი აქტორია გლობალიზებული სამყაროს ფორმირებაში, ერთა და კულტურათა დაახლოებაში, ადამიანებს ინტერნეტთან წვდომის უფლება მიანიჭა, ხოლო სახელმწიფოებს ამ უფლების საპირწონე ვალდებულება დააკისრა.[3]

ინტერნეტზე ხელმისაწვდომობამ შესაძლებელი გახადა სოციალური მედიის პლატფორმების შექმნა და მათი მომხმარებლების აქტიური ჩართულობა მსოფლიოს გარშემო მიმდინარე მოვლენებში - ინფორმაციის მიღება და საკუთარი აზრის საჯაროდ დაფიქსირება ასე იოლი არასდროს ყოფილა. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური მომხსენებლის 2011 წლის ანგარიშის თანახმად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლი შედგენილია იმგვარად, რომ მოიცვას ტექნიკური განვითარება, რომლითაც ადამიანებს შეეძლებათ საკუთარი თავისუფლების გამოხატვა. ამიტომ, მოქმედი საერთაშორისო უფლებრივი ჩარჩო ადამიანის უფლებების მიმართ ონლაინ სივრცეშიც ვრცელდება.[4] გამოხატვის თავისუფლებაზე საუბრისას შეუძლებელია არ შევეხოთ ინტერნეტსივრცეზე წვდომის და ინტერნეტით სარგებლობის უფლებას, ვინაიდან, როგორც ევროპულმა სასამართლომ *Kalda v. Estonia* საქმეში დაადგინა, ინტერნეტი ხშირად ერთადერთი საშუალებაა ინფორმაციის მისაღებად,[5] შესაბამისად - აზრის გამოსათქმელადაც. მიუხედავად იმისა, რომ ქვემდებარე ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს იმის განხილვა, ძირითად უფლებას წარმოადგენს ინტერნეტით სარგებლობა, თუ გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში დაცულ სიკეთეს, და ავტორის ამოცანა არ მოიცავს აღნიშნული თავისუფლების ვიწრო ჭრილში წარმოსახვას, მოცემული საკითხის მიზნებიდან გამომდინარე, ინტერნეტზე და კონკრეტულ სოციალურ ქსელებზე წვდომის და ინტერნეტის სიკეთეებით სარგებლობის უფლება განიხილება გამოხატვის თავისუფლების ქოლგის ქვეშ. თავის მხრივ კი, დეზინფორმაციის მავნე ასპექტები და გავლენები გააზრებულ იქნება ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობის ჭრილში.

ქვემდებარე სტატიაში განხილულია სოციალურ მედიაში გავრცელებული დეზინფორმაციის თავსებადობა გამოხატვის თავისუფლებასთან; ამისთვის, თავდაპირველად, გაანალიზებულია გამოხატვის თავისუფლების ფარგლები, დეზინფორმაციის არსი და მისი მავნებლური ხასიათი ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან მიმართებით; შემდგომ კი, სახელმწიფოებისა და სოციალური მედიის პლატფორმების პრაქტიკის მაგალითზე მიმოხილულია რამდენიმე რეკომენდაცია, რომლებიც შესაძლოა განხორციელდეს დამახინჯებული ფაქტების გავრცელების მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრის და გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტური უფლების მაქსიმალური დაცვის მიზნით.

1. გამოხატვის თავისუფლების ფარგლები

გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების ის ქვაკუთხედია, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს ადამიანის სრულყოფილი განვითარების, ინდივიდად ჩამოყალიბების გზაზე. მისი მნიშვნელობა გამომდინარეობს იმ საწყისიდან,

[3] ნიაური ა., *ძირითადი უფლებების ევოლუცია ციფრულ ეპოქაში: ინტერნეტთან წვდომის უფლება*, ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს ვალდებულებები, სტატიების კრებული, თბილისი, 2019, 195-197.

[4] UN Human Rights Council, Report of the Special Rapporteur on the promotion and protection of the right to freedom of opinion and expression, Frank La Rue, 16 May 2011, A/HRC/17/27, 21, 79.

[5] *Kalda v. Estonia*, App no 17429/10, (ECHR, 6 June 2016), 52.

რომ ადამიანი თავისუფალი არსებაა და ყველაფერი დიდებული თავისუფლების მოპოვებითა და შენარჩუნებით მიიღწევა.[6] სწორედ გამოხატვის თავისუფლება აერთიანებს და დამატებით გარანტიებს გვთავაზობს ისეთი უფლებების მიმართ, როგორიცაა აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება,[7] მშვიდობიანი შეკრების უფლება,[8] არჩევნებში მონაწილეობის უფლება[9] და სხვ. ის წარმოადგენს ისეთი დარგების თუ მიმართულებების ფუნდამენტს, როგორიცაა ჟურნალისტიკა,[10] პოლიტიკური დისკურსი,[11] პედაგოგიკა,[12] კომერციული რეკლამების გაშვება[13]თუ მოცემული სტატიისთვის მეტად ყურადსაღები, სოციალურ მედიაში პერსონალური ანგარიშის შექმნა და გამოყენება.[14]

გამოხატვის თავისუფლება რიგი საერთაშორისო თუ რეგიონული ხასიათის ადამიანის უფლებათა კონვენციებით რეგულირდება. ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის კონვენციის [ევროპული კონვენცია] მე-10 მუხლში გათვალისწინებულია, რომ „ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად."[15] აღნიშნული თავისუფლება ასევე გარანტირებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლითაც, რომლის მეორე პუნქტიც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს აზრის თავისუფლად გამოთქმისა და საზღვრების მიუხედავად ინფორმაციის მოძიების უფლებაზე. ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-13 მუხლი, რომელიც იმავე უფლების პროტექტორს წარმოადგენს, იცავს არამხოლოდ ისეთ გამოხატვას, რომელიც მიჩნეულია, როგორც ნეიტრალური, არამედ ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც შესაძლოა შეურაცხმყოფელი, უსიამოვნო ან შემაშფოთებელიც აღმოჩნდეს როგორც სახელმწიფოსთვის, ისე საზოგადოებისთვის.[16] ასე, მაგალითად, დაცულია სხეულის სრული სიშიშვლე იმ მიზნით, რომ წარმოჩინდეს სხეულის ბუნებრივი მდგომარეობა.[17] ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის ფარგლებში მოექცა აგრეთვე ათათურქის ძეგლისთვის წითელი საღებავის გადასხმა, რაც ისტორიული პირის მიმართ ანტიპათიას გამოხატავდა.[18] ვინაიდან დემოკრატიული წყობილება სულაც არ არის დამოკიდებული სწორხაზოვან, დოგმატურ იდეალებზე - პლურალიზმის ხელშეწყობა, სიტყვის რა საშუალებაც არ უნდა იქნეს გამოყენებული, მიჩნეულია, როგორც დაცული გამოხატვა.

გამომდინარე მოცემული უფლების უნივერალური ხასიათისა და ფუძემდებლური მნიშვნელობისა, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, გამონაკლისის სახით თუ დაიშვება გამოხატვის უფლების შეზღუდვა, რაც საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის მესამე, ხოლო ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მეორე ნაწილებით განსაზღვრული უნდა იყოს კანონით და უნდა წარმოადგენდეს აუცილებელ საშუალებას სხვა პირთა უფლებების ან რეპუტაციის, ან სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობის და ზნეობის დასაცავად.[19] სწორედ ამ ფარგლებში უნდა იქნეს განხილული დეზინფორმაციის გავრცელების შეზღუდვის ჩარჩოებიც. მოცემული ამოცანის გადასაჭრელად, უპირველესად უნდა განიმარტოს დეზინფორმაციის მნიშვნელობა, გაიმიჯნოს ის ინფორმაციის გავრცელების სხვა სახეებისგან და მოიძებნოს მეთოდი, რომლის დანერგვაც ეფექტური იქნება იმისთვის, რომ მინიმალური დანაკარგით მაქსიმალურად იყოს დაცული საზოგადოების და

[6] იხ. ალბერტ აინშტაინის ცნობილი ფრაზა: „*for everything that is really great and inspiring is created by the individual who can labour in freedom.*"

[7] International Covenant on Civil and Political Rights, Article 18, 23 March 1976, 993 U.N.T.S. 171 [ICCPR].

[8] ICCPR, Article 21.

[9] ICCPR, Article 25.

[10] Communication No. 1334/2004, *Mavlonov and Sa'di v. Uzbekistan*, Views adopted on 19 March 2009.

[11] Communication No. 414/1990, *Mika Miha v. Equatorial Guinea*.

[12] Communication No. 736/97, *Ross v. Canada*, Views adopted on 18 October 2000.

[13] UN Human Rights Committee (CCPR), General comment No. 34, Article 19, Freedoms of opinion and expression, 12 September 2011, UN Doc CCPR/C/GC/34, ["CCPR GC34"] 11;

[14] Communication No. 633/95, *Gauthier v. Canada*.

[15] Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms (European Convention on Human Rights, as amended, adopted in 1950). Article 10.

[16] Ibid., Article 13.

[17] *Hashman and Harrup v. the United Kingdom,* no. 25594/94, (GC, ECHR, August, 1999) 28.

[18] *Murat Vural v. Turkey*, no. 9540/07, (ECHR, October 2014), 56, 21.

[19] ICCPR, Article 19(3).

სახელმწიფოს ლეგიტიმური, ფუნდამენტური ინტერესები.

2. დეზინფორმაცია, როგორც გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში ჩარევის მაგალითი

დეზინფორმაციის უნივერსალური დეფინიცია არ არსებობს.[20] უფრო მეტიც, ხშირია შემთხვევები, როდესაც დეზინფორმაციას არ ან ვერ განასხვავებენ ისეთი მსგავსი, თუმცა ფაქტობრივად და სამართლებრივად განსხვავებული მოვლენებისგან, როგორიცაა მისინფორმაცია და მალინფორმაცია. ხშირად დეზინფორმაციას ანაცვლებენ ტერმინით „პროპაგანდა“ და მიუხედავად იმისა, რომ ის შესაძლოა გამოიყენებოდეს დეზინფორმაციის სინონიმად, ეს უკანასკნელი იმ მნიშნელობით, რომელიც მას განსაკუთრებულ ხასიათს სძენს(გამიზნულად ყალბი ინფორმაციის გავრცელება კონკრეტული ამოცანის მისაღწევად),[21] ვერ და არ შეიძლება ყოველთვის იქნეს მოცული პროპაგანდით, ვინაიდან მისი განმარტება ხშირად ხდება როგორც კომუნიკაციის მეთოდი, რომელიც მიმართულია ადამიანის ქცევის მანიპულაციისკენ წინასწარ განზარხული გზით.[22] მოცემულ განმარტებას დეზინფორმაციისგან მიჯნავს აშკარად მცდარი შინაარსი, რომელიც შესაძლოა პროპაგანდის შემთხვევაში არ იყოს სახეზე. მაშასადამე, პროპაგანდა შესაძლოა მოიცავდეს დეზინფორმაციას, თუ სახეზეა მიზანმიმართული მცდარი ინფორმაციის გავრცელება.[23] ამასთან, პროპაგანდის აკრძალვა მშვიდობიანობის დროს, თუ არ ხდება ომის, აგრესიის პროპაგანდა ან არ წარმოადგენს სხვა სახელმწიფოში ინტერვენციის ფორმას, თითქმის ყოველთვის ეწინააღმდეგება გამოხატვის უფლებას,[24] მაშინ, როდესაც დეზინფორმაციასთან ბრძოლა სახელმწიფოების პირდაპირი ვალდებულებაც კი შესაძლოა გახდეს. სტატიის მიზნებისთვის დეზინფორმაციას განიმარტება, როგორც ყალბი ინფორმაცია, რომელიც მიზანმიმართულად გავრცელდა იმისთვის, რომ სამიზნე ჯგუფებს დააჯეროს დამახინჯებული, მცდარი ინფორმაცია და ამ გზით მიიღოს გარკვეული სახის სარგებელი. სტატიის მიზნებისთვის, დეზინფორმაციის სინონიმად შესაძლებელია ასევე „ფეიკ ნიუსის“ გამოყენებაც.[25] ამასთან, დაუშვებელია იდენტური მნიშვნელობით გამოიყენებოდეს ტერმინები მისინფორმაცია და მალინფორმაცია (სიტყვები, რომლებიც ქართულ ლექსიკონში არ არის დამკვიდრებული), ვინაიდან მალინფორმაცია ჭეშმარიტი ინფორმაციის საზიანო მიზნებით გამოყენებას გულისხმობს, ხოლო მისინფორმაციის დროს კი მცდარი ინფორმაციის წინასწარი საზიანო მიზნის გარეშე გავრცელება ხდება.[26] მისინფორმაცია შესაძლოა დეზინფორმაციის უშუალო შედეგიც იყოს - მას შემდეგ რაც მთავარი წყარო პროპაგანდისტულ მცდარ ინფორმაციას გამოაქვეყნებს, მესამე პირმა შესაძლოა იგი ზიანის დადგომის მიზნის გარეშე გააზიაროს და გაავრცელოს.[27]

ტერმინოლოგიის სწორად გამოყენება შესაძლოა ერთი შეხედვით ტრივიალური ჩანდეს, თუმცა დეზინფორმაციასთან ბრძოლაში სახელმწიფოთა პრაქტიკის ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ ზოგადად ფორმულირებული ნორმატიული აქტები, რომლებიც ერთნაირ სანქციებს აწესებს როგორც, დეზინფორმაციის, ისე მისინფორმაციასთან მიმართებით, არაპროპორციულია ადამიანის გამოხატვის უფლებასთან. მაგალითად, სავსებით რეალურია, სახელმწიფომ გამოსცეს კანონი, რომელიც დეზინფორმაციაში მოიაზრებს ისეთი შინაარსის მესიჯებს, როგორიცაა სახელმწიფო მოხელეების წინააღმდეგ მიმართული კრიტიკა.[28] მაშინ, როდესაც მოცემული გარანტირებულია გამოხატვის

[20] Fathaigh, R. and Helberger, N. and Appelman, N, *The perils of legally defining disinformation,* Internet Policy Review, 2021, 3.

[21] Nuñez F., *Disinformation Legislation and Freedom of Expression*, 10 U.C. IRVINE L. REV. 783 (2020). იხ. https://scholarship.law.uci.edu/ucilr/vol10/iss2/10, 784 [ბოლოს ნანახია 19.05.2022].

[22] Brabandere E., *Propaganda,* (last updated August 2019, *Max Planck Encyclopedia of Public International Law*), 1.

[23] Response to the consultations of the UN Special Rapporteur on Freedom of Expression on her report on disinformation, 2.

[24] Brabandere E., *Propaganda,* 3.

[25] Brabandere E., *Propaganda,* 6.

[26] Common M., Nielsen R., *Submission to UN Special Rapporteur on the promotion and protection of the right to freedom of opinion and expression report n disinformation,* Reuters Institute for the Study of Journalism, University of Oxford, 2.

[27] Toler A., Part II, *How to Verify and Authenticate User-generated Content, Digital Witness: Using Open Source Information for Human Rights Investigation, Documentation, and Accountability*, (published in 19 December, 2019), Oxford Public International Law, 3.

[28] Common M., Nielsen R., *Submission to UN Special Rapporteur on the promotion and protection of the right to freedom of opinion and expression report on disinformation,* 7.

თავისუფლებით, დეზინფორმაციის არასწორმა ინტერპრეტაციამ და უნიფიცირებული დეფინიციის არარსებობამ შესაძლოა ისეთ კანონმდებლობამდე მიგვიყვანოს, როგორსაც დღეს, მაგალითად, პაკისტანში ვაწყდებით, სადაც ნებისმიერი ამბავი დეზინფორმაციაა, თუ ამას სახელმწიფო პირები მოისურვებენ.[29] ამის მსგავსად, ვიეტნამის კანონი კიბერუსაფრთხოების შესახებ „ფეიკ ნიუსს" ფართოდ განმარტავს და მოიცავს პირის მიერ დაბნეულობის შექმნას საზოგადოებაში.[30] რა თქმა უნდა, ასეთი დამოკიდებულების შედეგია კანონის ბუნდოვანება, რაც წინააღმდეგობაში მოდის კანონის განჭვრეტადობის ფუნდამენტურ პრინციპთან.

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური მომხსენებელი ირენე ხანი თავის 2021 წლის სპეციალურ მოხსენებაში აღნიშნავს, რომ საკუთრივ დეზინფორმაცია სამი ვექტორისგან შედგება: მანიპულატორი აქტორები, შეცდომაში შემყვანი ქცევა და საზიანო შინაარსის ინფორმაცია.[31] პროპაგანდის ამ სახის განსაკუთრებული საშიში ხასიათის გამო, არსებობს კომპეტენტური ორგანოების არაერთი რეკომენდაცია, რომლის გათვალისწინებაც დეზინფორმაციასთან ბრძოლაში სახელმწიფოების საუკეთესო მექანიზმი შესაძლოა გახდეს. ეს მეთოდები და სახელმწიფოთა წარმატებული პრაქტიკა ნაშრომში ოდნავ მოგვიანებით იქნება განხილული.

დამატებით, ევროპულმა სასამართლომ საქმეში *Sürek and Özdemir v. Turkey* აღნიშნა, რომ სახელმწიფოები სარგებლობენ მიხედულობის ფართო ფარგლებით ისეთი ცრუ ინფორმაციის პრევენციის დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის არჩევნების დემოკრატიულობას, პოლიტიკურ წეს-წყობილებას ან საზოგადოების კეთილდღეობას.[32] ევროკავშირის სასამართლომ საქმეში *Kiselev v. Council* დაადასტურა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურობა დეზინფორმაციასა და პროპაგანდასთან საბრძოლველად.[33] ნათელია, რომ დეზინფორმაცია წარმოადგენს საფრთხეს დემოკრატიული საზოგადოებისა და ადამიანის უფლებებისთვის, გამომდინარე მცდარი ინფორმაციის გავრცელების განზრახვის და ფორმატისა. ფორმატი - სოციალური ქსელი, საშუალებას აძლევს პირს, ინფორმაცია წამის მეასედებში ხელმისაწვდომი გახადოს ფართო აუდიტორიისთვის - ეს კი განსაკუთრებით მაშინ ხდება, როდესაც დეზინფორმაციას გავლენიანი სპონსორი ჰყავს მთავრობის ან უცხო სახელმწიფოს ხელისუფლების სახით. რაც შეეხება მიზანს, როდესაც ინფორმაციის გავრცელების მიზანს ზიანის მიყენება წარმოადგენს, მიუხედავად დამდგარი შედეგისა, საზიანო ხასიათის შინაარსთან ერთად კომბინაციაში, ნათელია, რომ ის არ თავსდება გამოხატვის უფლების ფარგლებში; პირიქით, ეწინააღმდეგება მას და საფრთხის შემცველია როგორც ინფორმაციის მიღების, ისე აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით. ამგვარად, ცრუ ინფორმაციის გავრცელება კარგავს დაცვას.

3. დეზინფორმაცია, როგორც საერთაშორისო პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველი

დამახინჯებული ფაქტების განზრახ გავრცელების განსაკუთრებულად სახიფათო ხასიათის გამო, აქტუალურია საერთაშორისო პასუხისმგებლობის დადგომაზე საუბარი. დეზინფორმაციის გავრცელების სუბიექტი ხშირად სახელმწიფოა, რომელიც ან უცხო ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევით ან თავისივე სახელმწიფოს შიგნით ავრცელებს ცრუ ინფორმაციას. ეს შესაძლოა სახელმწიფო ორგანოების მიერ პირდაპირ ან შეფარვით - მარიონეტების დახმარებით განხორციელდეს. როდესაც სახელმწიფო თავისივე ხელით ავრცელებს საკუთარ საზოგადოებაში დამახინჯებულ ფაქტებს, ის თავის მოქალაქეებს ართმევს საერთაშორისო პაქტის მე-19(2) მუხლით გათვალისწინებულ უფლებას ეძიონ და მიიღონ ინფორმაცია.[34]

თანამედროვე ისტორია უცხო სახელმწიფოში სხვა ქვეყნის მიერ დეზინფორმაციის გავრცელების არაერთ

[29] Rule 5(f), Citizens Protection (Against Online Harm) Rules, 2020, Pakistan.

[30] Article 8(1)a-d, Law on Cybersecurity, 2018, Vietnam. აგრეთვე იხილეთ, "Let us Breathe: Censorship and Criminalization of Online Expression in Viet Nam," Amnesty International, 2020.

[31] Human Rights Council Special Rapporteur on the promotion and protection of the right to freedom of opinion and expression, Irene Khan, 47th session, 21 June–9 July 2019, 13.

[32] *Sürek and Özdemir v. Turkey* App no 23927/94 and 24277/94 (ECHR GC, 8 July 1999), 60.

[33] Case T-262/15 *Kiselev v. Council* [2017] ECR ["Kiselev"], 129.

[34] Schmitt M., *Foreign Cyber Interference in Elections: An International Law Primer, Part II,* Blog of the European Journal of International Law, იხ. https://www.ejiltalk.org/foreign-cyber-interference-in-elections-an-international-law-primer-part-ii/ [ბოლოს ნანახია 19.05.2022].

შემთხვევას ითვლის. აშშ-ს 2016 წლის არჩევნების პერიოდში არსებული დეზინფორმაცია რუსეთის პოლიტიკური ელიტის მიერ გავრცელებულად ითვლება, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო ჩვეულებით დადგენილ და მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულების, მათ შორის, გაეროს ქარტიის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილით დარეგულირებულ ჩაურევლობის პრინციპს.[35] აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა დადგება, თუ დეზინფორმაციის გავრცელებით ირღვევა სახელმწიფოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულება და ცრუ ინფორმაციის გავრცელების ქმედება მიეწერება სახელმწიფოს.[36] თუმცა მიუხედავად არაერთი უტყუარი მტკიცებულებისა, რომელიც ადასტურებს უცხო სახელმწიფოს ჩარევას სხვა სახელმწიფოს შიდა საქმეებში პროპაგანდის, დეზინფორმაციის გავრცელების გზით,[37] ჯერ არცერთ საერთაშორისო სასამართლოს არ გამოუტანია გადაწყვეტილება, რომელიც მოცემულ შემთხვევაში დაადგენდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობას ყალბი ინფორმაციის გავრცელებისთვის. თუმცა, არ არის გამორიცხული, უახლოეს მომავალში ასეთი საკითხი მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წინაშე დადგეს და გამოტანილ იქნეს პასუხისმგებლობის დამდგენი შესაბამისი გადაწყვეტილებაც, რის შემთხვევაშიც, სავარაუდოა, რომ დადგინდება ჩაურევლობის პრინციპის დარღვევისთვის პასუხისმგებლობა, რისთვისაც შესაძლოა კომპენსაციის გადახდაც დაეკისროს ვალდებულების დამრღვევ სახელმწიფოს.

განსაკუთრებით რთულდება ვითარება, როდესაც დეზინფორმაციის გამოყენება გენდერული, ეთნიკური, რელიგიური თუ რასობრივი ნიშნით სახელმწიფოს შიგნით მოქმედი ხელისუფლების მიერ ხდება. მაგალითად, აშშ-ს 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, დეზინფორმაციის გავრცელებით რასობრივი უმცირესობები ამოიღეს მიზანში.[38] ეთიოპიასა[39] და მიანმარში[40] გავრცელებული ყალბი ამბები კი ეთნიკურ და რელიგიურ ძალადობაში გადაიზარდა. ვენესუელას საჯარო მოხელეები ასევე რეგულარულად იყენებენ სოციალურ მედიას, რათა ტყუილები გაავრცელონ ინტერნეტ სივრცეში არჩევნების წინ, როდესაც მოსახლეობა განსაკუთრებით მგრძნობიარეა პოლიტიკური შინაარსის ინფორმაციის მიმართ.[41] პოლიტიკურად მოტივირებულია პროპაგანდა, რომელიც პოპულისტური დღის წესრიგის ფარს წარმოადგენს, ავრცელებს ანტიდემოკრატიულ ნარატივებსა და ამცირებს საზოგადოების ნდობას ზოგადად სამთავრობო ინსტიტუციებში და იწვევს ზოგადი ხასიათის არეულობას. დეზინფორმაცია ხშირად ნერგავს სიძულვილს და ძალადობას. ამ დროს არამხოლოდ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის ფარგლებია აქტუალური, არამედ აუცილებელია მე-20 მუხლის განხილვაც, რომელიც კრძალავს რასობრივ, ეროვნულ ან რელიგიურ საფუძველზე სიძულვილის, დისკრიმინაციის, მტრული დამოკიდებულების ან ძალადობის გავრცელებას.[42] ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობაზე ვერ იქნება საუბარი, მოქმედების მთავარი როლი სწორედ სამოქალაქო საზოგადოებას უნდა დაეკისროს.

დეზინფორმაციის გავრცელება ძალიან ხშირად ბოტების საშუალებით ხდება. ბოტი წარმოადგენს ავტომატურ ანგარიშს, რომელიც სხვა მომხმარებლებთან ინტერაქციაში შედის და ხელოვნურად ზრდის გარკვეული შინაარსის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სოციალური მედიის პლატფორმებზე.[43] სოციალურ ქსელ

---

[35] გაერთიანებული ერების ქარტია; აგრეთვე იხილეთ Brabandere E., *Propaganda,* 13.

[36] Articles on State Responsibility for Internationally Wrongful Acts, Article 2.

[37] მაგალითად რუსეთის მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია აშშ-ს 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს.

[38] Kim Y., *Voter suppression has gone digital,* Brennan Center for Justice, 20 November 2018.

[39] United Nations Human Rights, Office of the High Commissioner, Ethiopia: Bachelet calls for de-escalation amid alarming developments in Tigray and Oromia regions, 06 November, 2020, www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=26483&LangID=E. [ბოლოს ნანახია 19.05.2022]

[40] United Nations Human Rights, Office of the High Commissioner, Myanmar: Military must restore democracy, allow people to protest and express themselves, say UN experts, 26 February, 2021,

www.ohchr.org/en/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=26808&LangID=E. [ბოლოს ნანახია 19.05.2022].

[41] M. Schmitt, *Foreign Cyber Interference in Elections: An International Law Primer, Part II.*

[42] ICCPR, Article 20.

[43] Manjoo F., *How Twitter Is Being Gamed to Feed Misinformation*, N.Y. TIMES, May 31, 2017, https://www.nytimes.com/2017/05/31/technology/how-

„ტვიტერზე“ ბოტები ხშირად აქვეყნებენ პოსტებს, ერთმანეთის გავრცელებულ პოსტებს საჯაროდ აზიარებენ და ბევრად უფრო ჩართულები არიან სოციალურ ქსელებში ვიდრე ის ანგარიშები, რომელთა ოპერირებასაც რეალური ადამიანები ახდენენ. ისინი ხშირად გამოიყენება დეზინფორმაციის სწრაფად გავრცელებისთვის, რათა კონკრეტულ პოსტს მეტი მოწონება, გაზიარება, ხოლო კონკრეტულ პირებს მეტი მიმდევარი ან მოწინააღმდეგე ჰყავდეთ. ამგვარად, აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის ტვიტერის მიმდევრებიდან მხოლოდ 49% იყო რეალური ადამიანი.[44] ტრამპის მმართველობა კი დემოკრატებისთვის აშშ-ში, ხოლო ბევრი აქტიური მიმდევარისთვის მსოფლიოს გარშემო, ავტომატურად ასოცირდება მცდარ ინფორმაციებთან და მიზანმიმართული ტყუილების გავრცელებასთან.[45] ლოგიკურია, რომ ბოტი თითქმის ყოველთვის გარკვეული მოძრაობის, გავლენიანი პირის ან სახელმწიფო ორგანოს ინტერესებს ემსახურება.[46]

4. დეზინფორმაციის აქტუალური მაგალითები დღეს - პრობლემა, რომელიც უნდა გადაიჭრას

„თავისუფლების სახლი“ თავის ანგარიშში „ციფრული ავტორიტარიზმი“ ადასტურებს, რომ სოციალურ ქსელს აქვს იმხელა გავლენა მომხმარებელზე, რომ შეუძლია საზოგადოება რამდენიმე ნაწილად გახლიჩოს.[47] მაგალითისთვის, ბანგლადეშში, ინდოეთში, შრი ლანკასა და მიანმარში პროპაგანდის გავრცელებას ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის არაერთი დაპირისპირება მოჰყოლია. ასეთი სახის არეულობა მხოლოდ ანტიდემოკრატიულ ძალებს, ავტოკრატიულ მთავრობას ან მტრულ გარე ძალებს უმართავს ხელს. რუსეთ-უკრაინის 2022 წლის მიმდინარე საერთაშორისო ხასიათის კონფლიქტში რუსეთის პრეზიდენტი, მთავრობის ჩინოვნიკები და კრემლისტური მედია, უკრაინაში შეჭრას „საერთაშორისო ხასიათის კონფლიქტის“, „აგრესიის“ ან თუნდაც „თავდასხმის“ ნაცვლად „სამხედრო ოპერაციად“ ან „სპეცოპერაციად“ მოიხსენიებენ, რაც ცალსახად აგრესორის მიზანმიმართული პოლიტიკის ნაწილი და ერთმნიშვნელოვნად ყალბი ინფორმაციაა.[48] კრემლის საინფორმაციო ომი არც საქართველოს წინააღმდეგ წარმოადგენს სიახლეს - არაერთი მედია საშუალებით, როგორიცაა „ალტ-ინფო“ თუ ულტრა-მემარჯვენე მოძრაობების მიერ, როგორიცაა „ქართული მარში“ განგრძობითად ვრცელდება ყალბი ამბები, რომლის მთავარ მიზანსაც ანტი-დასავლური პროპაგანდის გავრცელება წარმოადგენს ევროკავშირის და ნატოს დისკრედიტაციის ამოცანით.[49] რუსული დეზინფორმაცია არც ანტი-დასავლური ნარატივის ლოგიკას მისდევდა თანმიმდევრულად - მაშინ, როდესაც დასავლური კომპანიების მიერ წარმოებული კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინების დისკრედიტაცია აქტიურად მიმდინარეობა, რის მიზეზსაც, მათ შორის, ვირუსის „აფიორად“ წარმოჩენა წარმოადგენდა, პრო-რუსული მედია ხშირად ამტკიცებდა, რომ რუსული ვაქცინა „Sputnik V” სანდო და უსაფრთხო იყო.[50]

2018 წელს „თავისუფლების სახლი“ თავის ანგარიშში აღნიშნავს, რომ ინტერნეტის გლობალური თავისუფლება 2010 წლიდან სისტემატურად მცირდება, რამაც ბიძგი მისცა მრავალ სახელმწიფოს,

---

twitter-is-being-gamed-to-feedmisinformation.html [ბოლოს ნანახია 19.05.2022].

[44] Kelly S., et al., *Manipulating Social Media to Undermine Democracy*, Freedom House, 2017, https://freedomhouse.org/report/freedom-net/2017/manipulating-social-media-undermine-democracy [ბოლოს ნანახია 19.05.2022].

[45] BBC, How President Trump took 'fake news' into the mainstream [online video] https://www.bbc.com/news/av/world-us-canada-46175024 [ბოლოს ნანახია 19.05.2022].

[46] ბევრ შემთხვევაში, როგორიცაა ბაჰრეინი, აზერბაიჯანი, მექსიკა და ჩინეთი, კიბერთავდასხმის უკან სახელმწიფო იდგა. იხ. https://www.mediadefence.org/ereader/publications/advanced-modules-on-digital-rights-and-freedom-of-expression-online/module-2-restricting-access-and-content/distributed-denial-of-service-attacks/ [ბოლოს ნანახია 19.05.2022].

[47] A. Shahbaz, *The Rise of Digital Authoritarianism*, *Freedom House,* 2018, https://freedomhouse.org/report/freedom-net/2018/rise-digital-authoritarianism [ბოლოს ნანახია 19.05.2022].

[48] The Diplomatic Service of the European Union, UN General Assembly demands Russian Federation withdraw all military forces from the territory of Ukraine, 2022, იხ. https://www.eeas.europa.eu/eeas/un-general-assembly-demands-russian-federation-withdraw-all-military-forces-territory-ukraine_en [ბოლოს ნანახია 19.05.2022].

[49] საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო, *დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში,* 21 ნოემბერი, 2019, იხ. https://transparency.ge/ge/post/dezinpormaciis-cinaagmdeg-brzola-sakartveloshi [ბოლოს ნანახია 19.05.2022].

[50] ლაჩაშვილი ი., მამულაძე ნ., ნაროუშვილი დ., ‘ანტიდასავლური დეზინფორმაცია წინასაარჩევნო პერიოდში,’ *დეზინფორმეტრი,* 2020, 41.

გამოსცეს ისეთი კანონი, რომელიც მოახდენს მცდარი ინფორმაციის გავრცელების, რა ფორმით, მიზნით თუ კონტექსტითაც არ უნდა იყოს იგი გამოხატული, კრიმინალიზაციას ან დაუქვემდებარებს სხვა სახის მძიმე სანქცირებას. სწორედ მოცემული რეგულირებაა დაკავშირებული შემდეგ პრობლემასთან - რამდენად ფართო უნდა იყოს სახელმწიფოს უფლებამოსილება მოცემული ხასიათის კანონმდებლობის გამოცემისას და როგორ უნდა იქნეს თავიდან არიდებული სახელმწიფოს მიერ ძალაუფლების კიდევ უფრო გაზრდა და გამოხატვის თავისუფლების არალეგიტიმური შეზღუდვა დეზინფორმაციასთან ბრძოლის საბაბით?

5. ცრუ ინფორმაციის გავრცელების პრევენციის მანკიერი პრაქტიკის შეუსაბამობა გამოხატვის თავისუფლებასთან

„დეზინფორმაცია ყვავის იქ, სადაც ადამიანის უფლებები განსაკუთრებით მოწყვლადია“[51]

დეზინფორმაციის პრობლემის გადაჭრის მნიშვნელობის გააზრებასთან ერთად, აქტიურად დაიწყო ყალბი ამბების პრევენციის გზების ძიება, რაც იშვიათად აღმოჩენილა ეფექტური. არაერთი მაგალითი არსებობს იმისა, თუ როგორ არქმევს სახელმწიფო ჭეშმარიტებას „დეზინფორმაციას“ და რეპრესიულ ღონისძიებებს ატარებს. მაგალითად, ცნობილი #MeToo მოძრაობის ორი აქტივისტი ქალი, რომლებმაც წარმატებით გამოააშკარავეს სექსუალური ძალადობისა და შევიწროების ფაქტები, ეგვიპტის ხელისუფლებამ საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის გამო დააკავა დეზინფორმაციის გავრცელების მოტივით. სავალალო ვითარებაა ჩინეთში, რომელმაც ინფორმაციის თავისუფლებასთან მიმართებით ბოლო ადგილი დაიკავა „თავისუფლების სახლის“ კვლევის მიხედვით და სადაც ხისტი კანონი კიბერსივრცესთან დაკავშირებით[52] განსაკუთრებულად საზიანოა გამოხატვის ფუნდამენტური უფლებისთვის - ადამიანების დაკავება საჯარო პოსტების გამოქვეყნებისთვის, ფართომასშტაბიანი და ავტომატური ცენზურა, თვალთვალი, რასაც შედეგად მრავალი პირის დაკავება და დაპატიმრება მოსდევს.[53]

ასეთი სახელმწიფოებისთვის დეზინფორმაცია ე.წ განტევების ვაცსაც კი წარმოადგენს - მისი მეშვეობით ახორციელებენ სოციალური ქსელის კონტროლს და იტნერნეტზე წვდომის უფლების შეზღუდვას, რაც თავის მხრივ, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ.

სახელმწიფოებში, რომლებიც ავტოკრატიისკენ იხრებიან, გამოხატვის შემზღუდავი ნორმები განუსაზღვრელი ვადით დამკვიდრდა ქვეყნის სისხლის თუ სამოქალაქო კოდექსებში, რაც წარმოადგენს აშკარად არაპროპორციულ მექანიზმს დეზინფორმაციასთან საბრძოლველად. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია რუსეთის ფედერაცია, რომლის ავტორიტარული რეჟიმის შესახებ არაერთი ფაქტი მიუთითებს. ჯერ კიდევ კოვიდ პანდემიამდე, 2019 წელს რუსეთის ფედერაციამ გამოსცა კანონი, რომელიც არეგულირებს ფედერალური მთავრობის მიერ დანიშნული ჩინოვნიკების მიერ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის უფრო მკაცრ ცენზურას - ცენზორის მიერ ინფორმაციის საფრთხის შემცველად შეფასების შემთხვევაში, სერვის პროვაიდერებმა უნდა შეზღუდონ მოცემულ ინფორმაციაზე წვდომა. კანონი ასევე ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას იმ შემთხვევაში, როდესაც საჯარო მოხელეს წინააღმდეგ არასასურველი ინფორმაცია გაჟღერდება.[54] აღნიშნული, რუსეთის ფედერაციის ისტორიის თვალის გადავლების შემდეგ, გასაკვირი არ არის. ყურადსაღები ის მოვლენაა, რომ ცენზურის გამკაცრება სწორედ დეზინფორმაციასთან ბრძოლის მოტივით განხორციელდა. იმავე მოტივით, პანდემიის პერიოდში მცდარი ინფორმაციის გავრცელებისთვის რუსეთმა 117 000 ევრომდე ჯარიმა დააწესა. ხელისუფლებამ ასევე საჯარო სექტორს მიანიჭა ვებსაიტების სრული გაუქმების პრეროგატივა.[55] გარდა რუსეთისა, საგანგაშო მდგომარეობაა ასევე აზერბაიჯანშიც, სადაც მმართველმა პარტიამ „სახიფათო“ ინფორმაციის გამავრცელებელი ონლაინ მედია პლატფორმების სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო სიცრუის

[51] საერთაშორისო პრესის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სკოტ გრიფენი. იხ. https://ipi.media/rush-to-pass-fake-news-laws-during-covid-19-intensifying-global-media-freedom-challenges/ [ბოლოს ნანახია 19.05.2022].

[52] Shahbaz A., *The Rise of Digital Authoritarianism,* Freedom House.

[53] Shahbaz A., *The Pandemic's Digital Shadow*, Freedom House, https://freedomhouse.org/report/freedom-net/2020/pandemics-digital-shadow [ბოლოს ნანახია 19.05.2022].

[54] Pollicino O., *Fundamental Rights as Bycatch – Russia's Anti-Fake News Legislation*, Verfassungsblog, 2019.

[55] Wiseman J., *Rush to pass 'fake news' laws during Covid-19 intensifying global media freedom challenges*, International Press Institute, 2020, https://ipi.media/rush-to-pass-fake-news-laws-during-covid-19-intensifying-global-media-freedom-challenges/ ბოლოს ნანახია 19.05.2022].

გავრცელების აღსაკვეთად[56] პანდემიის გამოცხადებიდან მალევე უზბეკეთმა, თითქოს დომინოს ეფექტით, სისხლის სამართლებრივად დასჯადი გახადა ვირუსთან დაკავშირებული „ფეიკ ნიუსის“ გავრცელება, რომელიც, „არეულობას შექმნიდა.“ სანქციის სახით კი თავისუფლების 3 წლით აღკვეთაც კი მოიაზრა.[57] მოცემული ხასიათის შეზღუდვები აშკარად არაპროპორციულია და არ აკმაყოფილებს საყოველთაოდ დადგენილ პროპორციულობის ტესტს. მოყვანილი მაგალითები, რა თქმა უნდა, სრულ სიას არ წარმოადგენს, სადაც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა „საზოგადოებრივი წესრიგის“ საბაბით მოხდა კოვიდ პანდემიის დროს. სამწუხაროდ, ავტორიტატული რეჟიმების მიერ თავისუფალი სიტყვის ცენზურა გავრცელებული პრაქტიკაა ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, კამბოჯაში, ფილიპინებში, ბელარუსში და იორდანიაში.[58]

6. ოქროს შუალედი დეზინფორმაციასთან ბრძოლასა და გამოხატვის თავისუფლების დაცვას შორის - წარმატებული პრაქტიკა და რეკომენდაციები

საერთაშორისო პრესის ინსტიტუტის (IPI) წარმომადგენელი სკოტ გრიფენი დავობს, რომ ინტერნეტში „ფეიკ ნიუსების“ პრევენცია განსაკუთრებით საშიში მაშინ ხდება, როდესაც საზოგადოებას ნდობა უქრება ზოგადად მედიის მიმართ.[59] სწორედ ამიტომ, საჭიროა ისეთი მეთოდის შემუშავება, რომელიც დაკარგულ ნდობას აღადგენს. აღნიშნული კი გონივრული ნაბიჯების გადადგმით, დეზინფორმაციასთან ბრძოლის რეგიონული და საერთაშორისო მექანიზმის შემუშავებითაა შესაძლებელი.

ზემოთხსენებულ საკითხთან მიმართებით ყურადსაღებია დეზინფორმაციასა და „ფეიკ ნიუსზე“ შექმნილ კომიტეტი, რომელმაც ხელი მოაწერა იმ სამართლის პრინციპების ფორმირებას, რომელიც მოქმედებს ინტერნეტ-სივრცეში.[60] კომიტეტის შემადგენლობაში შედიან სახელმწიფოები მსოფლიოს მრავალი რეგიონიდან.[61] აღნიშნული დეკლარაციით, დამკვიდრდა გამჭვირვალობის, პასუხისმგებლობის და დემოკრატიული წარმომადგენლობის დაცვის სტანდარტები ინტერნეტში და ამასთან, დეზინფორმაცია გამოცხადდა სერიოზული ხასიათის საფრთხედ, რომელიც დემოკრატიისა და ცივილიზებული გლობალური დიალოგის წარმართვას ემუქრება. კომიტეტი ყურადღებას ამახვილებს სოციალურ მედიაში აქტიურ კომპანიებზე და მათ პასუხისმგებლობას აკისრებს იმ შემთხვევებში, თუ შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების თუ საკანონმდებლო ნორმის არსებობის დროს არ წაშლის ან შეზღუდავს ინფორმაციას, რომელიც მცდარია.

დავის საგანია ის, თუ რა ფორმით უნდა იყოს სახელმწიფო ჩართული სოციალურ მედიაში გაზიარებული ინფორმაციის რეგულირებაში, ვინაიდან ერთი მიდგომის მიხედვით, სახელმწიფოს არც უნდა ჰქონდეს იმის ძალაუფლება, რომ გააკონტროლოს თუ რა სახის ინფორმაცია განთავსდება კიბერ სივრცეში.[62] მოცემული მოსაზრება არ არის საფუძველს მოკლებული, გამომდინარე იქიდან, რომ ხშირად დეზინფორმაცია სწორედ მმართველი ძალის მეშვეობით იდგამს ფესვებს. ეს რეალობა იძლევა იმის ფიქრის საფუძველს, რომ სოციალურ მედიაში განთავსებული ინფორმაციის დარეგულირება სოციალური მედიის პლატფორმებისა და სახელმწიფოს პოლიტიკურად დამოუკიდებელი ორგანოების მიერ უნდა ხორციელდებოდეს. აღნიშნულის იმპლემენტაციისთვის კი საჭიროა სახელმწიფოს კანონმდებლობაში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომელიც სოციალური მედიის პლატფორმებს რიგ მოთხოვნებს წაუყენებს. ასეთ მოთხოვნებს შორის შეიძლება იყოს, მაგალითად, ლოკაციის ხელმისაწვდომობა იმ ანგარიშებთან მიმართებით,

---

[56] OSCE, *Coronavirus response should not curb freedom of the press in Azerbaijan, says OSCE Media Freedom Representative*, 2020, https://www.osce.org/representative-on-freedom-of-media/449146 [ბოლოს ნანახია 19.05.2022].

[57] Pikulicka-Wilczewska A., *Is Uzbekistan using coronavirus to curtail civil liberties? ALJAZEERA,* 2020, https://www.aljazeera.com/news/2020/4/3/is-uzbekistan-using-coronavirus-to-curtail-civil-liberties [ბოლოს ნანახია 19.05.2022].

[58] Wiseman J., *Rush to pass 'fake news' laws during Covid-19 intensifying global media freedom challenges.*

[59] Ibid.

[60] Parliamentarians from across the world sign declaration on the 'Principles of the Law Governing the Internet, 2018, https://old.parliament.uk/business/committees/committees-a-z/commons-select/digital-culture-media-and-sport-committee/news/declaration-internet-17-19/ [ბოლოს ნანახია 19.05.2022].

[61] არგენტინა, ბელგია, ბრაზილია, კანადა, საფრანგეთი, სინგაპური, გაერთიანებული სამეფოები, ირლანდია; იქვე.

[62] Wiseman J., *Rush to pass 'fake news' laws during Covid-19 intensifying global media freedom challenges*.

რომლებიც უცხო სახელმწიფოში გარკვეული ხასიათის საეჭვო ინფორმაციას ავრცელებენ.[63] მსგავსი დანაწესები უნდა გაიმიჯნოს შემზღუდველი კანონების გამოცემისგან, რომელსაც სკეპტიკურად უყურებს ციფრული თავისუფლების ფონდის დირექტორი და ადამიანის უფლებათა ადვოკატი ნანი იანსენი.[64] ის UNESCO-ს ანგარიშის მიგნებებს იზიარებს და მიიჩნევს, რომ ყალბი ინფორმაციის გავრცელების დროს აშკარად შემზღუდველი ხასიათის პოლიტიკის გატარება ართულებს ჟურნალისტიკას.[65] შედეგად კი სახეზეა ინფორმაციული ვაკუუმი.

დეზინფორმაციის რეგულირებასთან დაკავშირებით ერთ-ერთ სადავო საკითხს წარმოადგენს სოციალური მედიის პლატფორმებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება. გერმანიამ თავისი კანონით "Netzwerkdurchsetzungsgesetz law" მძიმე სანქციები (50 მილიონამდე ევროს ოდენობით) დააკისრა სოციალური მედიის პლატფორმებს, თუ ისინი არ წაშლიან „აშკარად უკანონო ხასიათის" პოსტებს.[66] აღნიშნული კანონი არაერთგზის გამხდარა კრიტიკის საგანი, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ასეთი მძიმე ხასიათის სანქცია კომპანიებს უბიძგებს მრავალი სახის პოსტის წაშლისკენ იმისდა მიუხედავად, აკმაყოფილებენ თუ არა ისინი „აშკარად უკანონო ხასიათის" პოსტების კრიტერიუმებს.[67] მაშასადამე, პრობლემა კვლავ თავს იჩენს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კონტექსტში, თუმცა უდავოა, რომ აშკარად უკანონო შინაარსის ინფორმაცია კიბერსივრციდან უნდა წაიშალოს. სოციალური მედიის კომპანიებთან ურთიერთობის წარმატებულ პრაქტიკას ამერიკის შეერთებულ შტატებში ვხვდებით, სადაც Digital Millennium Copyright Act (DMCA) ეფექტური აღმოჩნდა ისეთი შინაარსის პოსტების წაშლასთან მიმართებით, რომლებიც საავტორო უფლებას არღვევდნენ.[68] მსგავსი ეფექტური მექანიზმი დეზინფორმაციასთან მიმართებითაც რომ დაინერგოს საჭიროა კანონით კონკრეტულად, მკაფიოდ და დაზუსტებით განიმარტოს უკანონო შინაარსის პოსტები, ხოლო სანქციის დაწესება კი მას შემდეგ მოხდეს, თუ დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ობიექტური ორგანოს მიერ შესაბამისი პოსტების წაშლის მოთხოვნის შემდეგ კომპანია არ შეასრულებს გაცემულ მოთხოვნას. ამასთან, წარმოუდგენელია სანქცია ისეთი კოლოსალური ოდენობის იყოს, როგორც ეს გერმანიის კანონმდებლობაში გვხვდება.[69]

ცალსახაა, რომ პლატფორმებმა დეზინფორმაციასთან დაკავშირებული პოლიტიკა ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებს უნდა მოარგონ.[70] ამასთან, სოციალური მედიის კომპანიების გამჭვირვალობა მთავარ საკითხად რჩება. კერძოდ, საინტერესოა თუ როგორ ახდენენ ისინი ე.წ კონტენტ-მოდერაციას და უმკლავდებიან დეზინფორმაციის მზარდ პრობლემას. ამ კუთხით აღსანიშნავია ტვიტერის მიდგომა კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული „ტვიტების" წაშლასთან, რომელიც მკაფიოდ და კონკრეტულად განსაზღვრავს, თუ რა სახის ინფორმაციაა აშკარად ყალბი. ტვიტერმა ასევე პერსონალური ანგარიშის შეჩერების პოლიტიკაც გაატარა, თუ ასეთი ტვიტები სერიოზული ზიანის ან დიდი რაოდენობისაა.[71] კომპანია მეტა კი ფაქტების გადამოწმებას მომხმარებლებს მიანდობს - საეჭვო შინაარსის პოსტების შესახებ საჩივრის დაწერის მარტივი პროცედურის შემდეგ კომპანიის თანამშრომლები შესაბამის ზომებს იღებენ.[72] ამგვარად, კონტენტ-მოდერაციის ერთნაირი მიდგომა სოციალური მედიის

[63] Nuñez F., *Disinformation Legislation and Freedom of Expression*, 795.

[64] Wiseman J., *Rush to pass 'fake news' laws during Covid-19 intensifying global media freedom challenges*.

[65] Posetti J., Bontcheva K., *Dissecting responses to COVID-19 disinformation*, Policy brief 2, DISINFODEMIC, UNESCO, 2020, https://en.unesco.org/sites/default/files/disinfodemic_dissecting_responses_covid19_disinformation.pdf [ბოლოს ნანახია 19.05.2022].

[66] Nuñez F., *Disinformation Legislation and Freedom of Expression*, 796.

[67] Letter from David Kaye, U.N. Special Rapporteur, to Angela Merkel, Chancellor of Germany, June 1, 2017, https://www.ohchr.org/Documents/Issues/Opinion/Legislation/OLDEU-1-2017.pdf [ბოლოს ნანახია 19.05.2022].

[68] 17 U.S.C. § 101-122 (2012).

[69] Joint Declaration on Freedom of Expression and "Fake News", Disinformation and Propaganda, ORG. FOR SEC. & CO-OPERATION EUR. (Mar. 3, 2017), https://www.osce.org/fom/302796 [ბოლოს ნანახია 19.05.2022].

[70] UN Special Rapporteur on the Promotion and Protection of the Right to Freedom of Opinion and Expression Report on Content Regulation to the HRC, UN Doc. A/HRC/38/35, para. 41.

[71] Twitter help center, 'COVID-19 misleading information policy,' Overview December 2021, https://help.twitter.com/en/rules-and-policies/medical-misinformation-policy [ბოლოს ნანახია 19.05.2022].

[72] Meta, ' Meta's Third-Party Fact-Checking Program.' https://www.facebook.com/journalismproject/programs/third-party-fact-checking [ბოლოს ნანახია 19.05.2022].

ისეთ ცნობილ კომპანიებშიც არ გვხვდება, როგორიც მეტა და ტვიტერია.

ბოლოს, როგორც გამოიკვეთა, დეზინფორმაციასთან ბრძოლაში ბევრი საკამათო მოსაზრება არსებობს, თუმცა მედიაწიგნიერების ეფექტურობა დავას არ იწვევს. მედიაწიგნიერება მიღებული ინფორმაციის კრიტიკული აზროვნების „ფილტრის" ქვეშ გატარებას გულისხმობს. მედია წიგნიერების დონის ამაღლება საზოგადოებაში განსაკუთრებით რთული ამოცანაა თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მიზნის მისაღწევად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა არამხოლოდ ყალბი ინფორმაციის სიმართლისგან გამიჯვნის უნარის განვითარება, რისთვისაც ზოგადი განათლების განახლებული კურიკულუმით შეთავაზება გახდება საჭირო, არამედ აპრობირებული საშუალება, რომლითაც ონლაინ სივრცეში ინფორმაციის სანდოობა გადამოწმდება. ეს უკანასკნელი კი უპირველესად მიღწეული იქნება ისეთი მექანიზმებით, როგორიცაა, მაგალითად, ზემოთ განხილული ბოტების იდენტიფიცირება უშუალოდ სოციალური მედიის კომპანიების მიერ.[73] ამასთან, საეჭვო ფაქტების გადამოწმებაზე მუშაობა, ზოგიერთი შინაარსის პოსტზე გამაფრთხილებელი განცხადების თანდართვა (ე.წ labelling და flagging) და დეზინფორმაციის წინააღმდეგ მკაფიო ჩარჩო-პოლიტიკის შემუშავება გადამწყვეტ როლს ითამაშებს როგორც მედია წიგნიერების გაზრდაში, ისე დეზინფორმაციის გამავრცელებელი ბოტების რიცხვის შემცირებაში.

დასკვნა

გამოხატვის თავისუფლებამ რამდენიმე საფეხურით ზემოთ გადაინაცვლა მაშინ, როდესაც კაცობრიობამ სოციალური მედიის გამოყენება აქტიურად დაიწყო. როგორც ევროპულმა სასამართლომ საქმეში *Mouvement raëlien suisse v. Switzerland* აღნიშნა, „თუ ქუჩები და სკვერები ადამიანების შეკრების ისტორიული ადგილებია, ინტერნეტი იდეების გაცვლის გლობალური ფორუმია."[74] დავის საგანს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ინტერნეტი კაცობრიობის ფასდაუდებელი მონაპოვარია, თუმცა გამოხატვის ფართო არეალთან, უსაზღვრო სივრცისა და ულიმიტო დროსთან ერთად, კიბერ სივრცემ და სოციალურმა მედიამ არაერთი პრობლემური საკითხის გადაჭრა დაავალა საერთაშორისო საზოგადოებას, მათ შორისაა ყალბი ინფორმაციის გავრცელების პრევენცია.

სტატიაში გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დეზინფორმაციასთან ბრძოლა ლეგიტიმურია და ინფორმაციასთან წვდომის უფლების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია არსებობდეს ეფექტური მექანიზმები. ამასთან, აუცილებელია, ეს უკანასკნელი მკაფიოდ და მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში მოექცეს და სახელმწიფოს არ მიეცეს საშუალება უსაფრთხოების მოტივით უსაფუძვლოდ შეზღუდოს გამოხატვის ფუნდამენტური თავისუფლება. ზემოთ განხილული მაგალითების საფუძველზე ნათელია, რომ მმართველ ძალას არაერთხელ შეუნიღბავს მისთვის არასასურველი აზრის, იდეის, ინფორმაციის გავრცელების აკრძალვა დეზინფორმაციასთან ბრძოლით და საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფის საბაბით. თუმცა, როგორც გერჰარდ ბაუმი ამბობს: „უსაფრთხოება არ უნდა განვიხილოთ როგორც ფასეულობა, როგორც ასეთი, არამედ მხოლოდ როგორც წინაპირობა თავისუფლების შესაძლებლობისა."[75] ეს მართლაც ასეა, გამოხატვის თავისუფლების გარანტიები სახელმწიფოს შემწყნარებელი პოლიტიკის ნაყოფი არაა, რომელსაც უნდა ვუმადლოდეთ. ის ფუნდამენტური უფლებაა, რომლის დაცვაც ნებისმიერ ფასად უნდა გააგრძელოს სამოქალაქო საზოგადოებამ.

ბიბლიოგრაფია

1. ლაჩაშვილი ი., მამულაძე ნ., ნაროუშვილი დ., 'ანტიდასავლური დეზინფორმაცია წინასაარჩევნო პერიოდში,' *დეზინფორმეტრი,* 2020.
2. ნიაური ა., 'ძირითადი უფლებების ევოლუცია ციფრულ ეპოქაში: ინტერნეტთან წვდომის უფლება', *ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს ვალდებულებები*, სტატიების კრებული, თბილისი, 2019.
3. American Convention on Human Rights (adopted in 1969) Treaty Series, No. 36, Organization of American States.
4. Charter of the United Nations (adopted 24 October 1945), 1 UNTS XVI.
5. Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms (European Convention on Human Rights, as amended, adopted in 1950) (ECHR).

[73] Nuñez F., *Disinformation Legislation and Freedom of Expression*, 14, 793.

[74] *Mouvement raëlien suisse v. Switzerland* [GC], no. 16354/06, Dissenting Opinion of Judge Pinto de Albuquerque, ECHR 2012 (ნაწყვეტები).

[75] ბაუმი გ., *იხსენით ძირითადი უფლებანი*, თარგმანი. მ. ფანჯიკიძე, ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის, 2009, 35.

6. International Covenant on Civil and Political Rights (adopted 16 December 1966, entered into force 23 March 1976) 999 UNTS 171 (ICCPR).
7. Universal Declaration of Human Rights (adopted 10 December 1948 UNGA Res 217 A(III) (UDHR).
8. UN Human Rights Committee (CCPR), General comment No. 34, Article 19, Freedoms of opinion and expression, 12 September 2011, UN Doc CCPR/C/GC/34.
9. Adrian Shahbaz, *The Rise of Digital Authoritarianism*, *Freedom House*, 2018, https://freedomhouse.org/report/freedom-net/2018/rise-digital-authoritarianism.
10. Agnieszka Pikulicka-Wilczewska, *Is Uzbekistan using coronavirus to curtail civil liberties*? ALJAZEERA, 2020, https://www.aljazeera.com/news/2020/4/3/is-uzbekistan-using-coronavirus-to-curtail-civil-liberties.
11. Aric Toler, *Part II, How to Verify and Authenticate User-generated Content*, *Digital Witness: Using Open Source Information for Human Rights Investigation, Documentation, and Accountability,* (published in 19 December, 2019), Oxford Public International Law.
12. Eric De Brabandere, *Propaganda*, (last updated August 2019, Max Planck Encyclopedia of Public International Law).
13. Farhad Manjoo, *How Twitter Is Being Gamed to Feed Misinformation*, N.Y. TIMES, May 31, 2017, https://www.nytimes.com/2017/05/31/technology/how-twitter-is-being-gamed-to-feedmisinformation.html.
14. Fernando Nuñez, *Disinformation Legislation and Freedom of Expression*, 10 U.C. IRVINE L. REV. 783 (2020), https://scholarship.law.uci.edu/ucilr/vol10/iss2/10.
15. Frank La Rue, UN Human Rights Council, Report of the Special Rapporteur on the promotion and protection of the right to freedom of opinion and expression, 16 May 2011, A/HRC/17/27.
16. Irene Khan, Human Rights Council Special Rapporteur on the promotion and protection of the right to freedom of opinion and expression, 47th session, 21 June–9 July 2019.
17. Irene Khan, UN Special Rapporteur on the Promotion and Protection of the Right to Freedom of Opinion and Expression Report on Content Regulation to the HRC, UN Doc. A/HRC/38/35.
18. Jamie Wiseman, *Rush to pass 'fake news' laws during Covid-19 intensifying global media freedom challenges,* International Press Institute, 2020, https://ipi.media/rush-to-pass-fake-news-laws-during-covid-19-intensifying-global-media-freedom-challenges/.
19. Joint Declaration on Freedom of Expression and "Fake News", Disinformation and Propaganda, ORG. FOR SEC. & CO-OPERATION EUR. (Mar. 3, 2017), https://www.osce.org/fom/302796.
20. Julie Posetti, Kalina Bontcheva, *Dissecting responses to COVID-19 disinformation* Policy brief 2, DISINFODEMIC,UNESCO,2020,https://en.unesco.org/sites/default/files/disinfodemic_dissecting_responses_covid19_disinformation.pdf.
21. Mackenzie F. Common, Rasmus Kleis Nielsen, 'Submission to UN Special Rapporteur on the promotion and protection of the right to freedom of opinion and expression report on disinformation', *Reuters Institute for the Study of Journalism, University of Oxford.*
22. Michael Schmitt, *Foreign Cyber Interference in Elections: An International Law Primer, Part II*, *Blog of the European Journal of International Law,* https://www.ejiltalk.org/foreign-cyber-interference-in-elections-an-international-law-primer-part-ii/.
23. Oreste Pollicino, *Fundamental Rights as Bycatch – Russia's Anti-Fake News Legislation*, Verfassungsblog, 2019.
24. OSCE, *Coronavirus response should not curb freedom of the press in Azerbaijan, says OSCE Media Freedom Representative*, 2020, https://www.osce.org/representative-on-freedom-of-media/449146.
25. Robert W. Gauthier v. Canada, Communication No 633/1995, U.N. Doc. CCPR/C/65/D/633/1995 (5 May 1999).
26. Ronan O Fathaigh, Natali Helberger, Naomi Appelman, *The perils of legally defining disinformation*, Internet Policy Review, 10(4), 2021.
27. Sanja Kelly et al., *Manipulating Social Media to Undermine Democracy*, Freedom House, 2017, https://freedomhouse.org/report/freedom-net/2017/manipulating-social-media-undermine-democracy.
28. The Diplomatic Service of the European Union, *UN General Assembly demands Russian Federation withdraw all military forces from the territory of Ukraine*, 2022, https://www.eeas.europa.eu/eeas/un-general-assembly-demands-russian-federation-withdraw-all-military-forces-territory-ukraine_en.
29. United Nations Human Rights, Office of the High Commissioner, *Ethiopia: Bachelet calls for de-escalation amid alarming developments in Tigray and Oromia regions*, 06 November, 2020, www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=26483&LangID=E.

30. United Nations Human Rights, Office of the High Commissioner, *Myanmar: Military must restore democracy, allow people to protest and express themselves, say UN experts,* 26 February, 2021, www.ohchr.org/en/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=26808&LangID=E.
31. Young Mie Kim, *Voter suppression has gone digital,* Brennan Center for Justice, 20 November 2018.
32. *Essono Mika Miha v. Equatorial Guinea*, Communication No. 414/1990, U.N. Doc. CCPR/C/51/D/414/1990 (1994).
33. *Malcolm Ross v. Canada*, Communication No. 736/1997, U.N. Doc. CCPR/C/70/D/736/1997 (2000).
34. *Mavlonov and Sa'di v. Uzbekistan*, Comm. 1334/2004, U.N. Doc. CCPR/C/95/D/1334/2004 (HRC 2009).
35. *Kalda v. Estonia*, App no 17429/10, (ECHR, 6 June 2016).
36. *Hashman and Harrup v. the United Kingdom*, no. 25594/94, (GC, ECHR, August, 1999).
37. *Murat Vural v. Turkey*, no. 9540/07, (ECHR, October 2014).
38. *Sürek and Özdemir v. Turkey* App no 23927/94 and 24277/94 (ECHR GC, 8 July 1999).
39. Case T-262/15 *Kiselev v. Council* [2017] ECR.